

პროექტის აღწერა და მიზნები:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევროპანკი) იხილავს 24 მილიონი აშშ დოლარით გორის ქარის ელექტროსადგურის დაკრედიტების საკითხს. გორის ქარის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 20 მეგავატი იქნება და განთავსდება შიდა ქართლში. აღნიშნული კრედიტი იქნება სინდიცირებული.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი:

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ქარის ენერჯის სექტორში პირველი პროექტის განხორციელებას და ამგვარად წარმოადგენს მნიშვნელოვან პრეცედენტს ქარის ენერჯის პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის. ქვეყნის ქარის ენერჯის თეორიული პოტენციალი შეფასებულია 1,300 გიგავატ/სთ, ხოლო რეგიონი, რომელშიც განთავსდება გორის ქარის ელექტროსადგური, შეტანილია პოტენციურად ყველაზე პროდუქტიულ რეგიონთა სიაში, რომლის ტერიტორიაზე შესაძლებელია განვითარდეს 200 მეგავატამდე დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურები.

კლიენტი:

შპს “ქართლის ქარის ელექტროსადგური“ შექმნის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს საქართველოში გორის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა. ამჟამად შპს “ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ 100% მფლობელია საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია, რომელიც შექმნილია საქართველოს მთავრობის მიერ, ქვეყნის ენერჯეტიკულ პროექტებში ინვესტიციებისა და განახლებადი ენერჯეტიკის სექტორის განვითარების ხელშესაწყობად. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია განიხილება აღნიშნული კომპანიის პოტენციურ მინორიტარულ აქციონერად.

ევრობანკის დაფინანსება:	ევრობანკი იხილავს მსესხებლისთვის პირველი რიგის A/B სინდიცირებული კრედიტს 24 მილიონი აშშ დოლარის ოდენებით.
პროექტის ღირებულება:	34.3 მილიონი აშშ დოლარი.
გარემოსდაცვითი ეფექტი	<p>ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 2014 წლის გარემოს დაცვითი და სოციალური პოლიტიკის შესაბამისად, პროექტს მიენიჭა B კატეგორია.</p> <p>კატეგორიზაციის ძირითად მიზეზს წარმოადგენს შემოთავაზებული პროექტის კომპაქტურობა (6 ტურბინა/20MW ჯამური დადგმული სიმძლავრით) და მისი ადგილმდებარეობა შეცვლილ გარემოში, რომელსაც გააჩნია მცირე ან სრულიად მოკლებულია გარემოსდაცვით და სოციალურ სენსიტიურობას. დამკვეთის დავალებით, საერთაშორისო კონსულტანტების დამოუკიდებელმა კომპანიამ წამოიწყო მიზანმიმართული ზემოქმედების შეფასება და პროექტის შეფასება, ბანკის მოთხოვნების და კარგი საწარმოო პრაქტიკის შესაბამისად. ზემოქმედების შეფასება ორიენტირებულია ძირითად რისკებზე, როგორცაა პროექტის პოტენციური ზემოქმედება ლანდშაფტის იერსახეზე; ჩრდილოვანი ციმციმის და ხმაურის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე; ზემოქმედება ფრინველების ბიომრავალფეროვნებაზე; ასევე სხვადასხვა მოკლევადიან მშენებლობებთან დაკავშირებული ზემოქმედება.</p> <p>გარდა ამისა, პროექტის შეფასების ნაწილის სახით, შემუშავებული იქნა არატექნიკური რეზიუმე და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, რომლის გაცნობაც მოხდა</p>

---

ადგილობრივ დონეზე. პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტები ასევე შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის ვებ-საიტზე.

შემუშავებულია გარემოს დაცვითი და სოციალურ მოქმედებათა გეგმა, რომელიც შეთანხმებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს და საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს შორის, წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული გარემოს დაცვითი და სოციალურ მოქმედებათა გეგმა მოიცავს პოლიტიკასა თუ პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებს, მუშაობას ქვეკონტრაქტორ ორგანიზაციებთან, არსებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას / ინფორმაციის გამჟღავნებას.

გეგმის განხორციელებას მონიტორინგს გაუწევს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რათა უზრუნველყოს პროექტის განხორციელება ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

---

ტექნიკური  
თანამშრომლობა

არ არის.

---

კომპანიის საკონტაქტო  
ინფორმაცია

თორნიკე კაზარაშვილი  
[t.kazarashvili@gedf.com.ge](mailto:t.kazarashvili@gedf.com.ge)

+995 599 88 44 24

ბარათაშვილის ქუჩა 8, მე-4 სართული  
0105 თბილისი, საქართველო

---

ბიზნეს შესაძლებლობები :

ბიზნესის შესაძლებლობებსა ან შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაუვაშირდით კლიენტის კომპანიას

---

<p>ზოგადი ინფორმაცია:</p>	<p>შესყიდვების საკითხების გარდა პროექტთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ევრობანკში:  ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380  Email: <a href="mailto:projectenquiries@ebrd.com">projectenquiries@ebrd.com</a></p>
<p>პოლიტიკა ინფორმაციის საჯაროობის შესახებ (PIP)</p>	<p>ინფორმაციის საჯაროობის შესახებ შემუშავებულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის საჯაროობისა და აქციონერებთან კონსულტაციების მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება უკეთესი საზოგადოებრივი შედეგებისა და მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის გაცნობისათვის.</p> <p>პოლიტიკის ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იხილეთ: <a href="http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm">http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm</a></p>
<p>პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)</p>	<p>ცალკეული პირების ან ხალხთა ჯგუფის მიერ, ასევე ორგანიზაციების მიერ ევრობანკის დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად ევრობანკმა შეიმუშავა პროექტის გასაჩივრების მექანიზმი. ეს მექანიზმი მოქმედებს როდესაც არსებობს ვარაუდი დამდგარი ან შესაძლო ზიანის შესახებ. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის განმსაზღვრელი წესებისა და პროცედურების გასაცნობად იხილეთ შემდეგი ბმული: <a href="http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/pcm.pdf">http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/pcm.pdf</a> , რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <a href="http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/PCMRulesRussian.pdf">http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/PCMRulesRussian.pdf</a></p> <p>პროექტის ფარგლებში                      გასაჩივრების ნებისმიერი                      მექანიზმის საჩივარი</p>

	<p>წარმოდგენილი უნდა იქნეს ევრობანკის მიერ ფინანსური რესურსების გამოყოფიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პასუხისმგებელ პირს <a href="mailto:pcm@ebrd.com">pcm@ebrd.com</a>) ან დახმარებისათვის მიმართეთ ევრობანკის ადგილობრივ წარმომადგენლობას თუ გსურთ გაიგოთ კონკრეტულად რა ვადებშია შესაძლებელი საჩივრის წარმოდგენა.</p>
--	--